საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030190683530720

№ 01-479/ო **24 / სექტემბერი / 2020 წ.**

საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის 2020 წლის 22 ივლისს ნოტების გაცვლის გზით გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა უზრუნველყოფის მიზნით საკონსულტაციო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის 2020 წლის 22 ივლისს ნოტების გაცვლის გზით გაფორმებული შეთანხმებისა და „საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის 2020 წლის 22 ივლისს ნოტების გაცვლის გზით გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 აგვისტოს N1635 განკარგულების შესრულების მიზნით, ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ო“ და ,,ჟ“ ქვეპუნქტებისა და 21-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის 2020 წლის 22 ივლისს ნოტების გაცვლის გზით გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) შეიქმნას საკონსულტაციო კომიტეტი (შემდგომში - კომიტეტი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი წოწკოლაური - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომიტეტის თავმჯდომარე;

ბ) თინათინ ხარძიანი - სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომიტეტის წევრი;

გ) ბექა ჯაყელი - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომიტეტის წევრი;

დ) მაია ნიკოლეიშვილი - სამინისტროს ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველოს უფროსი, კომიტეტის წევრი;

ე) ქეთევან გოგინაშვილი - პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომიტეტის წევრი;

ვ) თამარ შალამბერიძე - სამინისტროს ადმინისტრაციის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომიტეტის წევრი;

ზ) გურამ გიორგობიანი - სამინისტროს ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი;

თ) ამირან გოგიტიძე - სსიპ საანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დაგეგმარების, ხარისხისა და გამოძახებათა მართვის დეპარტამენტის უფროსი

ი) მასატაკა ობატა - მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, იაპონიის საელჩო საქართველოში, კომიტეტის წევრი;

კ) გელა ჩიღოშვილი - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმინაობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომიტეტის წევრი.

2. კომიტეტმა უზრუნველყოს:

ა) ყველა იმ საკითხის განხილვა, რომელიც შესაძლოა, წარმოიშვას საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის 2020 წლის 22 ივლისს ნოტების გაცვლის გზით გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში;

ბ) საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის 2020 წლის 22 ივლისს ნოტების გაცვლის გზით გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების კოორდინაცია.

3. კომიტეტის შეხვედრები გაიმართოს საჭიროებისამებრ.

4. კომიტეტის თავმჯდომარე:

ა) იწვევს და წარმართავს კომიტეტის სხდომებს;

ბ) განსაზღვრავს კომიტეტის მუშაობის განრიგს;

გ) უძღვება კომიტეტის საქმიანობას;

დ) საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს კომიტეტის წევრისთვის შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს;

ე) უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად დამატებით მოიწვიოს სხვა პირებიც.

5. კომიტეტის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციას.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე